KA011852508568219

15 / ნოემბერი / 2019 წ.

№ 228323

სახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტოს მხარდაჭერის დეპარტამენტის
დირექტორს ქალბატონ ნინო ინწკირველს

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ნინო,

როგორც მოგეხსენებათ ქ. ჭიათურაში, ჭავჭავაძის ქუჩაზე (საკ.კ.38.10.40.058) მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცენტრისს მშენებლობა. 2019 წლის 2 ოქტომბერს სააგენტომ მიმართა შპს „საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანია“-ს, რომელიც არის აღნიშნულ რეგიონში წყლის განაწილების ლიცენზიანტი კომპანია, საზოგადოებრივი ცენტრის შენობის წყალმომარაგების და წყალარინების სისტემებზე მიერთების განაცხადით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილების, 18[1] მუხლის, 2 პუნქტის შესაბამისად სააგენტომ წინასწარ გადაიხადა მოთხოვნილი სიმძლავრის (წყალშემყვანი მილის დიამეტრი d=63მმ; წყალარინების მილის დიამეტრი 100მმ) შესაბამისი სრული საფასურის (წყალმომარაგების სრული საფასური - 3400 ლარი, წყალარინების - 1000 ლარი) ნახევარი.

შპს „საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანია“-მ მიმდინარე წლის 14 ნოემბერს დაასრულა წყალმომარაგების და წყალარინების გარე ქსელების სამონტაჟო და მიერთების სამუშაოები. სამუშაოები შესრულდა აღნიშნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის № 32 დადგენილებით განსაზრვრულ ვადებში.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურებს აღნიშნული მომსახურების დარჩენილი საფასურის - 2200.00 (ორი ათას ორასი ლარი და 00 თეთრი) ლარს, გადარიცხვა შპს „საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანია“-ს საბანკო ანგარიშზე.

დანართი: მიღება-ჩაბარების აქტი; ინსპექტირების აქტი; შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს საბანკო რეკვიზიტები.

პატივისცემით;

ინფრასტრუქტურის მონიტორინგის სამსახურის
უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ირაკლი ყიფიანი